

ნანა ექვთიშიშვიდი

მსხლეების მინდორი



ბაპურ სულაკაურის
გამომცემლობა

ნაწარმოებში არსებული
ყველა პერსონაჟი გამოგონილია.

ნებისმიერი მსგავსება ცოცხალ ან გარდაცვლილ
პირებთან არის შემთხვევითი.

1

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, სადაც ქუჩებს სახელი არ აქვთ და უბანი მიკრორაიონებადაა დაყოფილი, არის ერთი ქუჩა, რომელსაც სახელი გააჩნია: ეს არის ქერჩის ქუჩა. აქ ვერ ნახავთ ღირშესანიშნოებებს, ისტორიულ შენობა-ნაგებობებს, საზოგადო მოღვაწეების ძეგლებს ან შადრევნებს. საბჭოთა საცხოვრებელი კორპუსები გზას ორივე მხარეს მწკრივად მიჰყვება, ხოლო შიგადაშიგ ისეთი შენობებიც გამოირჩევა, როგორებიცაა შემადღებულ ადგილას მდგარი მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი, დიდი, ფართო კიბეებითა და გარშემო ნაძვებით, ასევე საბავშვო ბაღი, თბილისის ნომერ რომელიღაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, „ატეესის“ ყოფილი შენობა, სახლმმართველობა, სასურსათო მაღაზია, უნივერსალი დაბოლოს, „დებილების სკოლა“, რომელსაც ასე იქაურები ეძახიან, სინამდვილეში კი ამ დაწესებულებას „გონებადაქვეითებულ ბავშვთა დამხმარე სკოლა-ინტერნატი“ ჰქვია.

ვინ იცის, ვის მოაფიქრდა მაშინ, 1974 წელს, საბჭოთა საქართველოში ამ ქუჩისთვის უკრაინის ნახევარკუნძულ ყირიმზე მდებარე ქალაქის სახელი დაერქმია, იმ ქალაქის, სადაც 1942 წლის ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ნიავი მთელი ზაფხულის განმავლობაში ნათბობ ზღვას

ზედაპირს უწინავდა, ნაცისტების არმიამ ტყვედ ჩაიგდო და გაანადგურა 160 000 ადამიანი. თუმცა აქ ახლა არც გემები ჩანს და არც შავი ზღვის ნიაფი უბერავს. გვიანი გაზაფხულია, მზე ძლიერად აჭერს, ბული ასდის ტრასას და იქვე ერთი-ორი სუსტი ტანის ნეკერჩხალი მზეზე იხრუკება. კანტიკუნტად მანქანა ჩაივლის და თუ იქვე განოლილი ძაღლებიდან რომელიმეს არ დაეზარა, მანქანას მალაზიის გადასახვევამდე ყუფით ჩააცილებს, შედგება, გულდანყვეტილივით თვალს გააყოლებს, მერე კი ზურგს აქცევს და ისევ მტვერში გაგორებულ ძმებს მიუბრუნდება.

ნამდვილი ქერჩისგან განსხვავებით, ქერჩის ქუჩას გმირები არ ჰყავს. იმ დროს, როცა ნაცისტების არმია ებრაელ და არაებრაელ მოსახლეობას ანადგურებდა, ქერჩში ალყაში თავგანწირვით იბრძოდა 10 000 საბჭოთა მებრძოლი, რომლებიც საბოლოოდ დამარცხდნენ. იქნებ ამის ბრალიც იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ ქერჩს გმირი ქალაქის წოდება არ მიანიჭა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალაქი სახელმწიფო სახსრებიდან დახმარებას არ მიიღებდა და საკუთარი ძალებით უნდა აღდგენილიყო. მხოლოდ 31 წლის მერე, 1973 წელს გამოცხადდა ქერჩი გმირ ქალაქად და მალევე თბილისის ამ ქუჩასაც გმირი ქალაქის სახელი ერგო. თიანეთის გზატკეცილი ქერჩის ქუჩად იქცა, ალბათ იმიტომაც, რომ იმხანად თიანეთს საბჭოთა საგმირო საქმეებში ჯერ თავი არ ჰქონდა გამოჩენილი. „სამამულოდ“ წოდებული ომის თვითმხილველები, რომლებიც ქერჩის ქუჩაზე და შემოგარენში ცხოვრობდნენ, ნელ-ნელა ნავიდნენ ამ ქვეყნიდან. ასეთ ომგამოვლილ მოხუცებს უქმე დღეებში პიჯაკებზე ჩინ-მედლებასხმულებს უყვარდათ გამოსვლა, მზის შუქისთვის თავიანთი ხმელი მკერდების ჩვენება, ტროტუ-

არზე ნელი, დინჯი სვლა და ფრთხილი მიმოხრა. მათგან ბევრს მისაღები ოთახის კედელზე სტალინის ფოტო ეკიდა და გამარჯვებით ამაყობდნენ. თუმცა ამ ქვეყნდან წასვლა, ცოტა არ იყოს, უიმედოდ მოუწიათ. მათ აწეწილი სამშობლო შვილებსა და შვილიშვილებს გადააბარეს, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ქერჩის ქუჩისა და მისი შემოგარენის ჩეხური და მოსკოვის პროექტების კორპუსებში, დაბალჭერიან „ხრუშოვკებში“ და მიდიან და მოდიან სახლს, საბავშვო ბაღს, სკოლა-სამსახურსა და უნივერსიტეტს შორის. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ეს მარშრუტი აირია: ზოგმა სახლში დარჩენა არჩია, ზოგმა ეზოსა და ქუჩაში დგომა ამჯობინა, ზოგიც მიტინგებსა და საჯარო გაფიცვებზე ათენებდა და აღამებდა, ზოგმა სტალინის ფოტო ჩამოხსნა და ზოგმაც წაიღო წერილი.

გვიანი გაზაფხულის ამ მზიან დღეს, ქერჩის ქუჩაზე, „დებილების სკოლის“ ძველ აბანოში, დგას ლელა ცხელი წყლის ჭავლის ქვეშ თავდახრილი, ოდნავ მხრებანურული და ფიქრობს:

„ვანო უნდა მოვკლა...“

ლელა ამ სკოლის ბინადარია და ერთი თვის წინ თვრამეტი შეუსრულდა.

„ვანოს მოვკლავ. მერე თუ უნდათ მოვიდნენ და დამიჭირონ!“

აბანოში ორთქლი დგას. ლელა ონკანს კეტავს. გამხდარ, შენითლებულ ტანზე ორთქლი ასდის. ხმელ ზურგზე, ზუსტად შუაში, დაგრეხილი ბანარვიით ხერხემალი მოუჩანს, რომლიც მის წვრილ წელსა და ოდნავ განიერ მხრებს ერთმანეთთან აერთებს.

„მოვკლავ...“ – ფიქრობს და ხაკისფერი პერანგის სახე-

ლოებში ხელებს უყრის, ღილებს იკრავს. იქვე, ხის მოყვი-
თალო სასკოლო სკამზე, რომელიც აბანოში გდებისგან
დამბალი და ნაპირებშემოფცქვნილია, სარეცხის საპნის
ნალევი და კბილებჩამტვრეული სავარცხელი დევს. საზურ-
გეზე ტანსაცმელია გადაფენილი. ლელა შარვალში ფეხებს
უყრის, პერანგს შიგ იტანიებს და ქამარს მაგრად იჭერს.

„მე რა... მე კი არავინ დამიჭერს, იცყვიან გიჟიანო,
დებილიანო... დიდი-დიდი საგიჟეთში გამიშვან. აგე, ტარი-
ელას ღნაცოც კი იყო საგიჟეთში და გამოვიდა... და დადის
ეგრე...“ – ფიქრობს ლელა. მოკლე, სველ თმაში თითებს
სწრაფად იტარებს და თავს ისე იქნევს, როგორც განუ-
წულმა ძაღლებმა იციან. ამ დროს აბანოს კარი ხმაურით
იღება. ლელა ორთქლს მიღმა პატარა, სიფრიფანა სილუ-
ეტს ამჩნევს.

– გოგო, აქა ხარ? – იძახის კარის სახელურს ჩაბლაუჭე-
ბული ირაკლი. ლელა ხმას არ სცემს, ჩაცმას აგრძელებს.
სველ ფეხებს წინდებში ძლივს უყრის.

– წამო გოგო, დალი გეძახის უკვე რამდენი ხანია!

– რა უნდა? – ლელა კედს იცვამს და თასმებს მაგრად
უჭერს. გარედან შემოსული ნიავი ორთქლს ფანტავს და
უკვე კარგად მოჩანს კართან მდგარი ირაკლი, გამოკვეთი-
ლი წვეტიანი ყურებითა და გაფართოებული თვალებით.
ირაკლი სულს ითქვამს.

– წამო, დალი გეძახის... ბავშვები მეხუთეზე ასულან
კრაოტებში და აღარ ჩამოდიან...

ლელა მეორე კედის თასმას იკრავს და ირაკლის ჩქარი
ნაბიჯით მიჰყვება.

გარეთ მზეა, თბილა. მოედანზე არავინაა. სტადიონზე
გადარბიან, რომელიც აბანოსა და სამრეცხაოს გრძელ,

სიგანეზე გაშლილ ერთსართულიან შენობას მთავარ საცხოვრებელ შენობასთან აერთებს.

ლელას ბიჭურად აცვია და ერთი შეხედვით ბიჭსაც ჰგავს, მით უმეტეს მაშინ, როცა ასე თავგამეტებით გარბის. თუმცა, თუ კაცი ახლოდან შეხედავს, შეამჩნევს მის ნაზი მოყვანილობის ღია ფერის წარბებს, შავ თვალებს, სახის თხელ კანსა და წითელ, დახეთქილ ტუჩებს, ყველაფერ ამასთან ერთად კი პერანგში დამალული საშუალო ზომის მკერდი საბოლოოდ ფანტავს ყველა ეჭვს მისი ქალობის მიმართ.

– დალიმ ვერ გამოყარა... რკინებზე გადიან... – ქშენით ამბობს ირაკლი.

ლელა ირაკლის ენევა, უსწრებს. შენობას უახლოვდებიან. რამდენიმესაფეხურიან განიერ კიბეს ახტებიან და შესასვლელში შერბიან.

ბეტონის მოზაიკებიანი ფილებით განწყობილ ვრცელ ფოიეში, როგორც ყოველთვის, გრილა. კედლებზე რამდენიმე ცარიელი სტენდი კიდია. ერთ-ერთ სტენდზე წითელი სახანძრო ბალონია მიმაგრებული.

ლელა კიბეებს ახტება, მეხუთეზე ადის და გრძელ დერეფანში გარბის. ბოლო ოთახიდან დალის მწივანა ხმა აღწევს. ლელა ოთახში შერბის. იქ ბევრი ბავშვი ირევა, რამდენიმე კი რკინის ზამბარებიან საწოლზე დახტის. რკინის ბადეები ხმას გამოსცემენ. ბავშვებში ერთი დაბალი, სქელი ქალი გამოირჩევა, რომელიც, ერთი შეხედვით, გეგონება, რომ ბავშვებს გაშეშობანას ეთამაშება, მაგრამ მალევე ირკვევა, რომ ქალი მათ დასდევს, ხელთ კი ვერც ერთი ვერ მოუგდია. ეს არის დალი, ზედამხედველი და დღევანდელი მორიგე. დალის ნითლად შეღებილი თხელი თმა აქვს და თმის ქვეშ თავის კანი მთლიანად მოუჩანს.

დალის წითელი თმა თავზე შარავანდედით ადგას და რალაცით ამ სკოლის წმინდანადაც შეიძლება შევრაცხოთ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ამ ბავშვების მუდმივ დევნაში მართლაცდა მარტვილივით იტანჯება.

რამდენიმე თვის წინ ინტერნატმა სამინისტროდან ჰუმანიტარული დახმარება მიიღო – სკოლას ხის ახალი საწოლები გადაეცა საჩუქრად. ძველი, მრავალი წლის ნახმარი მძიმე რკინის საწოლები მეხუთე სართულზე, ერთ ოთახში აიტანეს და იქ დააწყვეს. ამ ოთახში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოთახი ოთახს ჰგავდა და იქ ბავშვებსაც ეძინათ, ჭერიდან წყალი ჩამოვიდა. მოიყვანეს მუშები და ჭერი შეაკეთებინეს, მაგრამ არ უშველა... ჭერი მეორედაც შეაკეთეს, მესამედ... მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა წვიმა მოვიდოდა, ჭერიდან წყალი მაინც ჩამოდიოდა და თანდათან იქაურებისთვისაც ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა. წვიმის დროს ბავშვები ოთახში არბოდნენ და ამ სანახაობით ერთობოდნენ. ოთახში ახლა აქა-იქ ვედროები და ტაშტები დგას, წვიმის წყლის შესაჩერებლად და მოსაგროვებლად, რომ მერე ეს სახლში შემოჭრილი წყალი ფანჯრებიდან და აივნიდან ხელის ერთი გაქნევით გადაუშვან. მას შემდეგ, რაც გამოცარიელებულ, ვედროებითა და ტაშტებით მიმოფენილ ოთახში ძველი რკინის საწოლები აიტანეს, იქაურობას „კრაოტების“ ოთახი შეერქვა. ახლა უკვე ნამდვილად შეუძლებელი გახდა აქედან ბავშვების განდევნა, რადგან საწოლებზე ხტუნვის სიამოვნებას, თან თუ წვიმს კიდევ, ინტერნატში ვერაფერი შეედრება.

ამას წინათ ოთახის მიმზიდველობას კიდევ ერთი რამ შეემატა: უეცრად პატარა აივანი, რომელიც შენობის ამ მხარეს ერთადერთი გახლდათ, ჩამოიშალა და ბეტონის ნატეხების გროვა მიწაზე დაენარცხა. ერთიანად ჩამოიქცა

რკინის მოაჯირიც, ზედ მიმაგრებული შიფერის დაფე-
ბით და აივნის ნაცვლად მხოლოდ კედელში გამოჩრილი
შველერებილა დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერ-
ნატის ბინადარი ბავშვები ამ დროს სტადიონზე იყვნენ,
ფეხბურთს თამაშობდნენ და მომხდართან ახლოს გადი-
გამოდოდნენ, არავინ დაშავებულა. რა თქმა უნდა,
სკოლის დირექტორისა და დირექციისათვის ეს ფაქტი
უფრო გასახარელი აღმოჩნდა, ვიდრე აივნის ჩამონგრე-
ვის გამო განცდილი წყენა. მომდევნო დღეებში უეცრად
აივანზე გასასვლელი კარიც გაქრა, ჩარჩოიანად. გასაკ-
ვირი არ იქნება, თუ ვინმე შინაურმა ნაილო, რომელმაც,
აღბათ, იფიქრა, აივანი აღარ არსებობს და იქ გასასვლელი
კარი აბა ვიღას უნდა დასჭირდესო. მოკლედ, ასე დარჩა
„კრაოტების“ ოთახის ერთ კედელში გაჭრილი კარისტოლა
სიცარიელე, რომლის იქითაც, ისეთ ამინდში, როგორიც
დღესაა, ლურჯი, სუფთად მონმენდილი ცა, ალვის ხეები
და მეზობელი საცხოვრებელი კორპუსი მოჩანს.

– მანდ არ მიხვიდე, გცემ! – კივის დალი. ბავშვები იცი-
ნიან, ერთმანეთს დასდევენ. დალი ლელას ამჩნევს:

– აი ნახე... მავთული მქონდა გარედან და გაუხსნიათ
და ნახე, რა დღეში მაგდებენ!

ლელა კუთხეში მდგარ ვასკას ხედავს. ვასკა ბოშაა,
თხუთმეტი წლის, მაგრამ ტანით უფრო პატარას ჰგავს.
დიდი ხანია, აქ ცხოვრობს. ლელას ახსოვს მისი აქ მოს-
ვლა. მაშინ ვასკა რვის იყო, ლელა – თერთმეტის. ვასკა
ინტერნატში ბიძამ ჩააბარა, ერთმა შავტუხა და მწვანეთვა-
ლება კაცმა, რომელიც სიგარეტს ენეოდა და ბანჯგვლიან
ხელებზე რამდენიმე სვირინგი ჰქონდა. ის კაცი იმის მერე
აღარ გამოჩენილა. თავიდან, ირაკლისა არ იყოს, ვასკაც
მიეჩვია ლელას, ლელა თითქოს პატრონობდა ბიჭს და

ადგილობრივებისგან იცავდა, რომლებისთვისაც ახალი მცხოვრები ინტერნატში ყოველთვის გემრიელი ლუკმაა ხოლმე. მერე, მოულოდნელად, ცოტა რომ წამოიზარდნენ, სექსიც ჰქონდათ. ეს მოხდა აბანოს წინ, მსხლების ქვეშ, ნესტიანი მიწისგან განაპირას. ლელას ახსოვს, რომ იმ საღამოს სტადიონზე უეცრად ყველა გაიფანტა. დალი მაშინ რაღაც სამხრეთამერიკულ სერიალს ჰყავდა დატყვევებული, სადაც რძალი და დედამთილი სამკვდროსასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთს წაკიდებული. დალი არც ერთ სერიას არ აცდენდა და ბავშვებიც ამ რძალ-დედამთილის ურთიერთობების ქარცეცხლში ჰყავდა ჩათრეული. ბავშვები ტელევიზორის საყურებლად გაიქცნენ, სტადიონზე კი ლელა და ვასკა დარჩნენ. ლელას აღარ ახსოვს ზუსტად, როგორ მოხდა. ახსოვს, რომ მსხლებთან გავიდნენ და ჩაიხადეს. ლელას არ სტკენია, როგორც სხვა დროს, პირიქით, უფრო სირბილეს გრძნობდა, ვასკას სხეულის სირბილესა და სიფრთხილეს... ერთი ის არ მოსწონდა, რომ მენჯებში ვასკას ძვლები ესობოდა. ერთმანეთს ტუჩებში კოცნიდნენ, ვასკამ „ზასაობა“ უკვე იცოდა. ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. არც პირველად და არც მერე, როცა მსხლებთან შეხვედრები გაგრძელდა. ლელას აღარც ის ახსოვს ზუსტად, როდის შეიცვალა ეს ყველაფერი, როდის ან რატომ აითვალწუნა მან ვასკა, ან რატომ გადააქცია იგი მუდმივი დამცირების ობიექტად. ვასკა ლელას წინ არ აღდგომია და მის საქციელს ახლაც მშვიდად ხვდება. სამაგიეროდ, ილიმის. ლელა ამ ღიმილს წყობიდან გამოჰყავს. მზადაა, ვასკას მივარდეს და იმ წითელ ტუჩებზე მიფენილი ღიმილი მუშტით მიუთელოს. ვასკა სულ ილიმის. თავიდან, როცა ინტერნატში მოვიდა და მერეც, რამდენიმე წლის განმავლობაში, ასე არ იყო.

ვასკამ არ იცოდა ასე ცალკე, სხვებისგან მოშორებით დგომა, იქაურების შორიდან ცქერა, ლაპარაკითაც უფრო ბევრს ლაპარაკობდა და არც ეს ღიმილი ეხატა სახეზე. მერე კი უეცრად ეს უცნაური ღიმილი აღებეჭდა, ოდნავ დამცინავი, გაუგებარი... ვერ გაიგებ, თავისთვის ეღიმიება, შენ დაგცინის თუ სულაც არ ეცინება.

– შე რა იყო ბიჭო, მანდ რო აყუდებულხარ! – უღრენს ლელა ვასკას, – არ შეგიძლია რო დალის მიეხმარო?

ვასკა ლელას უყურებს თავისი ღია მწვანე თვალებითა და მოლიმარი სახით და რალაცას ბუტბუტებს გაუგებრად.

ლელა ჩამოქცეული აივნისკენ მიემართება, სადაც კარის ღიობთან რამდენიმე ბავშვი ტრიალებს. ზედ კიდესთან ორნი დგანან, ერთ-ერთი კი, პაკო, ექვსი წლის, ახალი მოყვანილი, უფრო გამბედავი, რომელსაც მოკლე შავი შორტი და მიკი მაუსიანი მაისური აცვია, რკინის შველერებზეა გასული და მოლიმარი სახით ბაგირზე მოსიარულე ოსტატს ჰგავს.

– რა გითხარით მე თქვენ! – ყვირის ლელა მოულოდნელად, – არ გითხარით, არ მიეკაროთ-მეთქი? რო დაგიჭიროთ ყველა და გადაგყაროთ აქედან!

კიდესთან მდგარნი სწრაფად შორდებიან ადგილს და გარბიან. ლელას დანახვაზე პაკოს სახიდან ღიმილი უქრება და ოდნავ წონასწორობასაც კარგავს, მაგრამ მალე, პატარა გაშლილი ხელებით ისევ პოულობს ჰაერში საყრდენს და ვინრო შველერზე ოთახისკენ ფრთხილად მოაბიჯებს. პაკო ჯერ არ არის კიდესთან მოსული, რომ ლელა ქეჩოში ხელს ავლებს, მალლა სწევს და გარეთ ისე კიდებს, თითქოს გადაგდებას უპირებდეს. პაკოს სახე ეცვლება, ნიკაპი ეჭმუჭნება, თითქოს საცაა სახიდან დაბლა რალაც ჩამოუვარდებო, ფითრდება და ჰაერში ფეხებს ასავსავებს.

– გაგიშვა ხელი? გაგიშვა? – აჯანჯლარებს ლელა. პაკო ლელასკენ იწევს.

– გინდა გადავარდნა? გინდა? გინდა თავის გატეხვა?

ლელას პაკო შემოჰყავს და უშვებს. პაკო გარბის. ამ დროს კი პატარა, სწრაფმავალ ხოჭოს ემსგავსება, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გაეთამაშნენ და ახლა თავისუფლებამინიჭებული გარბის, რაც ძალა და ღონე აქვს, რომ ხიფათს გაეცალოს.

– მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! დალის რატო არ უფერებთ! – ყვირის ლელა.

ირაკლი ბავშვებს ოთახიდან ცხვრებივით დევნის. ვასკა აღარ ჩანს. ოთახიდან ბოლო ბავშვი გარბის, სტელა, ოდნავ უკან გაბზეკილი უკანალით და დაგრეხილი, სუსტი ფეხებით, რომელსაც მხოლოდ რეიტუზი და შიგ ჩატანიებული როლინგსტონი აცვია. ოთახში რჩებიან ლელა, ირაკლი და დალი, რომელსაც წითელი შარავანდედი ასწენვია და სახე უფრო მეტად ნატანჯი მოუჩანს. დალი ერთ-ერთ რკინის საწოლზე ჯდება. თავისი მძიმე უკანალით რკინის ბადე თითქმის იატაკამდე ჩააქვს, რასაც თავადაც არ მოელოდა... ხელებს ასავსავებს, ირაკლი კი ხელს უწვდის და საწოლის კიდეზე წამოჯდომაში ეხმარება. დალი მძიმედ სუნთქავს:

– ნადი რა, – ეუბნება ირაკლის, – უთხარი ციცოს, რამდენი ხანია, მპირდება, იქნებ მომიძებნოს ის ბოქლომი და დავადოთ ამ ოხერს, თორე გადაგვიცვინდებიან ესენი და მერე ვირტყათ თავში ხელები...

ირაკლი გარბის. დალი ტაშტში დამდგარ წვიმის წყალში ხელს ისველებს და შუბლზე ისვამს:

– აღარ შემიძლია... – ოხრავს თავისთვის, მერე კი მოულოდნელად რაღაც ახსენდება, ხმას იმაღლებს და ირაკლის მიჰკვივის:

– თუ ვინმე დაინახო, უთხარი, სასადილოში წაეთრან!
ლელა კიდესთან დგას და დაბლა იყურება. წარმოიდგენს, როგორ ჰკრავს ხელს ვანოს, ხანდაზმულ კაცს, ისტორიის მასწავლებელს და ამავე დროს დირექტორის მოადგილეს. ვანოს ეს ხელის კვრა ჯერ უკვირს, წამით უელვებს, რომ ეს რაღაც უბედური შემთხვევაა... შემდეგ კი, როცა კიდეზე ფეხი უცდება და ზურგით სიცარიელეს გრძნობს, ლელას შეხედავს, სათვალის იქიდან მზერას გამოატანს და ხედავს, რომ ლელა არ ნუხს ამის გამო, არ ნუხს, რომ ვანო ზურგით ვარდება მეხუთე სართულიდან. და ამ დროს პაკოსავით ვანოსაც უვარდება რაღაც სახიდან ქვევით და ნიკაპი ეჭმუჭნება. მისი თვალები ლელას უმზერენ, ლელას ეჭიდებიან, ლელა კი ამბობს: „მოკვდი, შენი დედა მოვტყყან!“ ვანო ზურგით ცემენტის გროვას ენარცხება, ხროტინებს...

– აი ბოქლომი, – ესმის ლელას ირაკლის ხმა. ლელა ტრიალდება. დალი აღარ არის.

– დალიმ დაკეტოს და გასაღები მე მომცესო... რავი... არც ეს იკეტება წესიერად, ციცომ ფოსტას მოხსნა და...

ლელა ირაკლის პანანინა ბოქლომს ართმევს. უყურებს.

– ეს ვის დააკავებს ერთი...

ოთახიდან გადიან. ლელა კარს იხურავს და პატარა ბოქლომით კეტავს. გასაღებს ირაკლის აძლევს. მერე კარს ეჯჯგუურება, მთელი ძალით არა, მაგრამ ისე, როგორც, მაგალითად, სტელა დაეჯჯგუურებოდა.

დერეფანში გვერდიგვერდ მოდიან. ირაკლი ლელას მხრამდე სწვდება. ლელა სიგარეტს უკიდებს. ერთ-ერთი ოთახიდან ის რეიტუზიანი გოგო გამოივლის, სტელა, ცოტა დამფრთხალია, არ იცის, საით წავიდეს.

– აბა გნა ეხა სასადილოში! – ეუბნება ირაკლი. გოგო გარბის.

კიბეზე ეშვებიან.

– დასარეკად გამომყვები? – ეკითხება ირაკლი ლელას.

– შენ კიდე რას ნაილე ტვინი, ჰა? ნუ ეტენები რა ტყვილა და თავს ნუ იმცირებ!

– ამ კვირაშიო, ეგრე მითხრა... – ამბობს ირაკლი, – ღმერთს ვფიცავარ!

ეზოში გამოდიან. შენობის წინ განიერი ტროტუარია, რომელზეც მუდამ აყენია ფიზკულტურის მასწავლებლის, იგივე ფიზმასი ავთოს ცისფერი ფურგუნი. ეზოში ნაძვნარი და წინვებით მოფენილი მიწაა.

სასადილოსკენ მიდიან. ამისათვის პატარა სივრცე უნდა გადაჭრან, რომელიც მთავარ საცხოვრებელსა და ადმინისტრაციულ შენობებს შორის მდებარეობს. ამ ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება გაკვეთილებიც და აქ ზის „გონაბაშეზღუდულ ბავშთა ინტერნატის“ დირექტორი ციცო. შენობა ორსართულიანია და უფრო მოვლილს ჰგავს. ფანჯრები თავის ადგილზეა, აივნებიც.

შენობიდან სერგო გამოდის. სერგო ათი წლისაა. ილღიაში რალაც ვარდისფერი ქსოვილი ამოუჩრია. იქვე კოლია მოდის, ფეხის თრევით, თავის ცანცარით. ვერ გაიგებ, კოლია რამდენი წლისაა, შეიძლება ათის იყოს, შეიძლება თხუთმეტისაც. „კოლიას ეტყობა რო დებილია, – ფიქრობს ლელა, – ზოგს ეტყობა რო დებილია, ზოგს – არა. სერგოს მაგალითად არ ეტყობა, არც ირაკლის...“

– ყველა სასადილოშიო, დალიმ! სეროჟ, კოლია! – იძახის ირაკლი.

სერგო თავისი გზით მიდის, ირაკლის არ უსმენს. კოლია კი გაუბედავად ჩერდება და მერე სასადილოსკენ იბრუნებს პირს.

– სად მიდიხარ? – ეკითხება ლელა სერგოს. სერგო ლელას გვერდს უვლის და ჭიშკრისკენ მიაბიჯებს.